საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ბ. ჯ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.09.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 073/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 7 სექტემბერს საჩივრით მომართა ადვოკატმა ბ. ჯ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო 2022 წლის 1 და 8 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომებში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის 1 სექტემბერს, დაახლოებით 23:00 საათზე მას დაუკავშირდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი - ნ. კ. , რომელიც ოჯახთან ერთად ქალაქ ბათუმში იმყოფებოდა და განუმარტა, რომ ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N-ში მდებარე მის კუთვნილ

საცხოვრებელ ბინაში შეიჭრნენ ნ. კ.-სთვის უცნობი პირები. აღნიშნული ფაქტის შესახებ მის კლიენტს აცნობეს ბინის დამქირავებლებმა, რომლებიც ვერ ახერხებდნენ ბინაში შესვლას. მათი განმარტებით, ბინიდან გამოდიოდა სხვა ადამიანების გადაადგილების ხმები და ასევე, გარე ტერიტორიიდან მოჩანდა ბინაში ანთებული განათება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ამ ინფორმაციის გაგების შემდეგ, იგი მომენტალურად გაემართა აღნიშნულ მისამართზე და საპატრულო პოლიციის გამოძახებამდე გადაწყვიტა თავად მისულიყო შემთხვევის ადგილას, რათა შეემოწმებინა მისთვის კლიენტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია.

1.3 ბ. ჯ.-ის განცხადებით, მასაც და ბინის მეპატრონე ნ. კ.-საც მაშინვე გაუჩნდათ ეჭვი, რომ ბინაში მყოფი პირები სავარაუდოდ იყვნენ ნ. კ.-ს ყოფილი დამქირავებლები, რომლებმაც არ შეასრულეს ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ამ საფუძვლით მოუწიათ ბინის დატოვება. ბინის დატოვების შემდეგ კი ნ. კ.-ს ერთ-ერთმა დამქირავებელმა უთხრა, რომ ეს დასასრული არ იყო და ბინაში აუცილებლად კიდევ დაბრუნდებოდნენ. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მათ ყოფილ დამქირავებლებს მოახსენეს, რომ თუკი მათ ჰქონდათ რაიმე სახის სამართლებრივი დავის საფუძველი, ისინი მზად იყვნენ აღნიშნული პრობლემა სასამართლოს გზით გადაეჭრათ.

1.4 ადვოკატის განმარტებით, როდესაც იგი დანიშნულების ადგილას მივიდა, იქ დახვდა ახალგაზრდა მამაკაცი, მისი მეუღლე და მათი ორი არასრულწლოვანი შვილი - ისინი ბინის ახალი დამქირავებლები იყვნენ. მათ ბ. ჯ.-ს განუმარტეს, რომ აღნიშნული საცხოვრებელი ფართი შუადღეს, დაახლოებით 15:00 საათზე დატოვეს, სახლში გვიან დაბრუნებისას კი აღმოაჩინეს, რომ მათ ბინაში სხვა პირები იყვნენ. ახალი დამქირავებლები ვერ ახერხებდნენ მათ მიერ ნაქირავებ ბინაში შესვლას, იყვნენ ძალიან განერვიულებულები და შეშინებულები, რადგან ბინაში ინახებოდა მათი პირადი ნივთები, ფული, ძვირფასეულობა, დოკუმენტები.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ბინის კარზე დააკაკუნა და გააგონა მისთვის კარგად ნაცნობმა ქალბატონმა, ნ. კ.-ს ბინის ყოფილმა დამქირავებელმა, რომელმაც ადვოკატის მოთხოვნის მიუხედავად, მას კარი არ გაუღო და პრობლემის ცივილური გზით მოგვარებაზე უარი განაცხადა. ბ. ჯ. განმარტავს, რომ დახურულ კარის მიღმა მასთან კომუნიკაცია ჰქონდა მხოლოდ ამ ქალბატონს და იმ მომენტში მას სხვა ადამიანის ხმა არ გაუგონია. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ დახურული კარის მიღმა საუბრის მომენტს შეესწრნენ ბინის ახალი დამქირავებლები და ასევე ნ. კ.-ს დედამთილი, თ. მ., რომელიც ადვოკატის განცხადებით, მისი მისვლიდან რამდენიმე წუთში მივიდა შემთხვევის ადგილას.

1.6 ბ. ჯ.-ის განცხადებით, ყოფილ დამქირავებელთან დახურულ კარს მიღმა საუბრის შემდეგ, მან გამოიძახა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომელიც დაახლოებით 15 წუთში მივიდა შემთხვევის ადგილას. სანამ იგი პოლიციის ეკიპაჟს თ. მ.-სთან ერთად არსებულ სიტუაციას უხსნიდა, მათთან ასევე მივიდნენ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებიც. ადვოკატის განცხადებით, მას შემდეგ, რაც პოლიციის თანამშრომლები გაერკვნენ სიტუაციის არსში, ისინი ყველანი ერთად ავიდნენ კორპუსის მესამე სართულზე, სადაც მდებარეობს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის საცხოვრებელი ფართი. პოლიციის ეკიპაჟის მოთხოვნის მიუხედავად, რამდენიმე წუთის

განმავლობაში კარის მეორე მხარეს მყოფი პირები კვლავ არ აღებდნენ კარს. ამ დროს ადვოკატმა უკვე გაიგონა მისთვის უცნობი მამაკაცის ხმა, რომელიც გამართულად და აქცენტის გარეშე საუბრობდა ქართულ ენაზე, რის გამოც ადვოკატის განმარტებით, იგი მიხვდა, რომ აღნიშნული მამაკაცი საქართველოს მოქალაქე უნდა ყოფილიყო.

1.7 საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ კარი გააღო მისთვის უცნობმა მამაკაცმა, რომელიც აღმოჩნდა მისი კოლეგა - ადვოკატი ი. ბ. სახლში მყოფი ყოფილი დამქირავებელი ამ შემთხვევისას იღებდა ვიდეოს, ტელეფონის საშუალებით. კარის გაღების შემდეგ ი. ბ.-მ საპატრულო პოლიციას განუმარტა, რომ ისინი სახლში შეუშვებდნენ მხოლოდ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს და სხვას არავის. ი. ბ.-ს ამ განცხადებამ გამოიწვია მისი, როგორც ბინის მეპატრონის ინტერესების დამცველის უკმაყოფილება, რადგან აღნიშნულ საუბარში და სიტუაციის განხილვაში დასწრების უფლება მას ისევე ჰქონდა, როგორც მის კოლეგას. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან შემთხვევის ადგილას წარადგინა ადვოკატის დამადასტურებელი მოწმობა და კლიენტის დაცვის ორდერი და გადაწყვიტა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად შესულიყო ბინაში, რათა შეემოწმებინა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ქონება, რის შესახებაც მან საპატრულო პოლიციის თანამშრომლებსაც მოახსენა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი საცხოვრებელი ბინის კარს მიუახლოვდა თუ არა, ადვოკატმა ი. ბ.-მ მასზე ფიზიკურად იძალადა - ადვოკატმა მას გულმკერდის არეში დიდი ძალის გამოყენებით ხელი კრა, რის გამოც ის უკან გადავარდა და წონასწორობა დაკარგა, ამასთან, მომენტალურად განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი და ჰაერის უკმარისობა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ი. ბ.-მ მას სრულიად მოულოდნელად დაარტყა დიდი ძალის გამოყენებით. გარდა ამისა, ის აღნიშნავს, რომ ი. ბ. ფიზიკურად დიდია მასზე. ამ ფაქტის გამო, შემთხვევის ადგილას გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, რომელმაც მას პირველადი სამედიცინო დახმარება გაუწია და შესთავაზეს საავადმყოფოში გადაყვანა, ვინაიდან იგი მიყენებული დარტყმის გამო გულ-მკერდის არეში განიცდიდა ტკივილს და უჭირდა სუნთქვა. საჩივრის ავტორის განცხადებით, სასწრაფო დახმარებას უარი განუცხადა საავადმყოფოში გადაყვანაზე, რადგან შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის დედამთილი, თ. მ., რომელიც ასაკოვანი ქალბატონი იყო და მას სამართლებრივი და ადამიანური დახმარება ესაჭიროებოდა. გარდა ამისა, იგი შემთხვევის ადგილას ასრულებდა სამსახურეობრივ მოვალეობებს და მიიჩნია, რომ მისი მხრიდან ამგვარი საქციელი იქნებოდა სისუსტისა და არაპროფესიონალიზმის გამოვლინება მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ, რომელიც მას ენდო როგორც ადვოკატს.

1.9 ბ. ჯ. განმარტავს, რომ სასწრაფო დახმარების წასვლიდან დაახლოებით 10-15 წუთში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, გულმკერდის მიდამოში არსებული ტკივილი სულ უფრო მეტად არ უყუჩდებოდა, სუნთქვა ჯერ კიდევ მძიმედ შეეძლო და ამასთან ერთად დაეწყო გულისრევის შეგრძნება. ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების გამო, მან კვლავ დარეკა 112-ში და მოითხოვა სამედიცინო დახმარების გაწევა, ვინაიდან აცნობიერებდა, რომ საქმე ეხებოდა მის ჯანმრთელობას. ბ. ჯ.-ის განმარტებით, სანამ სასწრაფო სამედიცინო

დახმარების ეკიპაჟი კვლავ მივიდა შემთხვევის ადგილას, მას მძიმე ფიზიკური და ფსიქო-ემოციური მდგომარეობა ჰქონდა. სასწრაფო დახმარებამ მას კვლავ გაუწია სამედიცინო დახმარება და ამჯერად კატეგორიულად მოითხოვეს მისი საავადმყოფოში გადაყვანა, რადგან ესაჭიროებოდა გამოკვლევები; ექიმებმა ასევე შეამოწმეს ადვოკატის გულ-მკერდზე არსებული დაბეჟილობა და წითელი ლაქები. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა გადაიყვანა „ა. ვ. ბ.-ის" სახელობის კლინიკაში, სადაც იგი დაახლოებით სამი საათის განმავლობაში იმყოფებოდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დეტალურად შეამოწმეს. ადვოკატს სამედიცინო გამოკვლევისთვის დასჭირდა გარკვეული თანხის გადახდა და ამის შემდეგ საკუთარი ნებით მოუწია კლინიკიდან გაწერა, რადგან შემდეგი პროცედურების დასაფარი თანხა არ ჰქონდა. მომჩივანმა განმარტა, რომ მას გარკვეული სახით ჯანმრთელობის პრობლემა ზოგადად აქვს, რომელიც ამ შემთხვევამ გააუარესა.

1.10 ბ. ჯ. განმარტავს, რომ ადვოკატი ი. ბ.-ს მიერ მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის გამო, იმავე საღამოს დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. მთელი ამ დროის განმავლობაში ი. ბ.-ს მასთან არანაირი კომუნიკაცია არ დაუმყარებია და უბრალოდ ბოდიშიც კი არ მოუხდია, შესაბამისად ითხოვს მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ი. ბ.-მ 2022 წლის 14 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ასევე მონაწილეობა მიიღო 2022 წლის 5 ოქტომბრის საპროცესო კოლეგიისა და 2022 წლის 1 და 8 დეკემბრის განხილვის კოლეგიის სხდომებში. ადვოკატის განმარტებით, იგი 2022 წლის 1 სექტემბერს ქ. თბილისში ფ.-ის ქუჩა N-ში არსებულ ბინაში იმყოფებოდა ბინის კანონიერ მფლობელთან, ა. ლ.-სთან ერთად. ა. ლ.-მ და მისმა ოჯახმა 2022 წლის 1 ივლისს ადვოკატ ა. კ.-სგან ერთი წლის ვადით იქირავეს ფ.-ის ქუჩა N-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. ა. ლ. ბინაში ლეგალურად იმყოფებოდა და ოჯახს წინასწარ გადახდილი ჰქონდა სამი თვის ქირა, ხოლო გამქირავებელთან შეთანხმებით, მათ ბინაში შეასრულეს დაახლოებით 3 000 აშშ დოლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ღამის საათებში ბინაში საპატრულო პოლიცია მისთვის უცნობმა პირებმა გამოიძახეს და დაკეტილ კარს მიღმა საუბრისას გაირკვა, რომ ამ პირებს ბინაში შესვლა სურდათ, რის გამოც ადვოკატმა ი. ბ.-მ ისინი გააფრთხილა, რომ ბინის მესაკუთრის ნებართვის გარეშე მათ ბინაში არ შეუშვებდა. ადვოკატის განმარტებით, მას შემდეგ რაც საპატრულო პოლიცია შემთხვევის ადგილას მივიდა, მან პოლიციელებს მისი კლიენტის მოთხოვნა გააცნო, რაზეც პოლიციელებმა თანხმობა განაცხადეს და ბინაში შესვლის ნებართვა ითხოვეს. ი. ბ.-ს მოხსენებით, მან კარი გააღო და ხმამაღლა განაცხადა, რომ ბინის მფლობელის სურვილის შესაბამისად, ბინაში მხოლოდ პოლიციელებს შეუშვებდა. პოლიციელების უკან შეამჩნია უცნობი ახალგაზრდა, რომელსაც საუბარზე და მოქმედებაზე შეატყო, რომ ბინაში უკანონოდ შეჭრა უნდოდა. გამოიკვეთა, რომ ეს ახალგაზრდა იყო ადვოკატი ბ. ჯ.. ი. ბ.-ს განმარტებით, ბ. ჯ. პოლიციის თანამშრომელმა გააფრთხილა, რომ ბინაში მხოლოდ პოლიციელები შევიდოდნენ. მიუხედავად ბ. ჯ.-ის მიმართ გაცემული ამ გაფრთხილებისა, მას შემდეგ, რაც პოლიციელები ბინაში შევიდნენ,

სწრაფი მოძრაობით ბ. ჯ.-ც ეცადა ბინაში შესვლას, რის გამოც ი. ბ.-ს განმარტებით, მისკენ გაქცეულ ბ. ჯ.-ს მან დაახვედრა მარცხენა ხელისგული მისი მკერდის დონეზე. ამის გამო ბ. ჯ.-მ ვერ შეძლო წინ გადაადგილება, რა დროსაც ი. ბ.-მ კარის დაკეტვა მოახერხა. ადვოკატის განმარტებით, ბინაში პოლიციელებთან საუბრისას შეამჩნია, რომ მოსული იყო სასწრაფო დახმარების ბრიგადა, თუმცა მას ვერ წარმოედგინა, რომ აღნიშნული ფიზიკური კონტაქტის შედეგად ბ. ჯ. ს შეიძლებოდა რამე დაშავებოდა. ადვოკატმა განმარტა, რომ ბ. ჯ.-ს რაიმე დაზიანება რომ ჰქონოდა, სასწრაფო დახმარება კლინიკაში გადაიყვანდა და იქედან არ გამოუშვებდნენ.

2.3 ადვოკატმა დეტალურად აღწერა შემთხვევა: ადვოკატი ბ. ჯ. გამოექანა, რომ პოლიციელსა და კარს შორის გამძვრალიყო, ადვოკატი იდგა კარში და იმისთვის, რომ ბინაში უკანონო შეღწევა აღეკვეთა, დაუხვედრა მარცხენა ხელისგული, რომელსაც ადვოკატი ბ. ჯ. დაეჯახა. ი. ბ.-მ განმარტა, რომ მიუხედავად პოლიციის ადგილზე ყოფნისა, დაინახა საჭიროება, რომ თავად აღეკვეთა ბ. ჯ.-ის უკანონო ქმედება.

2.4 ი. ბ. განმარტავს, რომ მას, როგორც ბინის მფლობელის მხარეს, უფლება ჰქონდა არასასურველი პირისთვის ბინაში შესვლა აღეკვეთა და თუნდაც ფიზიკურად არ დაეშვა ბინაში ამგვარი უკანონო შეღწევა. ადვოკატის განმარტებით, ბ. ჯ.-ს უნდა სცოდნოდა, რომ ადვოკატის ორდერი მას კანონიერი მფლობელის საზღვრის დარღვევის უფლებას არ აძლევდა, ხოლო იმ ქმედებით, რომელიც ბ. ჯ.-მ თავად აღწერა, რეალურად ჩაიდინა სხვის მფლობელობაში უკანონოდ შეჭრის მცდელობა და პოლიციელის მითითების დაუმორჩილებლობა. ადვოკატის განმარტებით, მას ბ. ჯ.-სთვის ხელი არ უკრავს და არც სხვა სახის ძალადობრივი ქმედება განუხორციელებია, გარდა იმისა, რომ მის შეჩერებას ცდილობდა და ხელით შეაკავა. მისი თქმით, მას ბ. ჯ.-სთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მას აქვს დაპირისპირება ადვოკატ ა. კ.-სთან, რომელიც არის ამ საქმეში ჩართული. ამ დღეს, ადვოკატმა ა. კ.-მ ადვოკატი ბ. ჯ. გააგზავნა კონკრეტული დავალების შესასრულებლად.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ბ. ჯ.-ის მიმართვის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეზე ის გამოიკითხა მოწმის სახით.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2022 წლის 5 ოქტომბერს მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ი. ბ.-მ საჩივრის ავტორს - ადვოკატ ბ. ჯ.-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა - გულ-მკერდის არეში კრა ხელი, ადვოკატის მიერ სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა კოლეგიალობის ეთიკური ვალდებულება - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 7 და 10.1 მუხლები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 უდავო ფაქტები:

4.1.1 2022 წლის 1 სექტემბერს ადვოკატი ი. ბ. და ადვოკატი ბ. ჯ. ქ. თბილისში ფ.-ის ქუჩა N-ში არსებულ ბინასთან იმყოფებოდნენ - კერძოდ, ადვოკატი ი. ბ. იმყოფებოდა უშუალოდ ბინაში, თავის კლიენტთან ა. ლ.-სთან ერთად, ხოლო ადვოკატი ბ. ჯ. იმყოფებოდა ბინის გარეთ, დერეფანში, კლიენტის - ნ. კ.-ს ნათესავთან ერთად.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2022 წლის 1 და 8 დეკემბრის სხდომის ოქმები)

4.1.2 2022 წლის 1 სექტემბერს შემთხვევის ადგილას (ქ. თბილისი, ფ.-ის ქ. N) იმყოფებოდნენ პოლიციის თანამშრომლებიც.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2022 წლის 1 და 8 დეკემბრის სხდომის ოქმები)

4.1.3 2022 წლის 1 სექტემბრამდე ადვოკატი ი. ბ. და ადვოკატი ბ. ჯ. ერთმანეთს არ იცნობდნენ, თუმცა შემთხვევის დღეს ერთმანეთის პროფესიული სტატუსი ორივე მათგანისათვის გახდა ცნობილი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2022 წლის 1 და 8 დეკემბრის სხდომის ოქმები)

4.1.4 შემთხვევის შედეგად ადვოკატ ბ. ჯ.-ს დასჭირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარებით სარგებლობა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

შპს „ა.-ს ვ. ბ.-ის კ.-ის“ მიერ 02.09.2022 წელს გაცემული სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმა N100, სადაც მითითებულია, რომ ბ. ჯ.-ს აღენიშნება გულმკერდის წინა კედლის სხვა ზედაპირული ტრამვა.

4.1.5 ფაქტის გამოსაძიებლად ადვოკატმა ბ. ჯ.-მ მიმართა საგამოძიებო ორგანოს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

საქართველოს შსს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლის ზ. კ.-ს მიერ 2022 წლის 09 სექტემბერს გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქმის N---.

4.2 სადავო ფაქტები:

მხარეთა შორის სადავოა შემთხვევისას ადვოკატ ი. ბ.-ს მხრიდან ადვოკატ ბ. ჯ.-სთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

საკითხზე მხარეთა პოზიციები განსხვავებულია: ადვოკატი ბ. ჯ. განმარტავს, რომ მან შემთხვევის ადგილას წარადგინა ადვოკატის დამადასტურებელი მოწმობა, კლიენტის დაცვის ორდერი და გადაწყვიტა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად შესულიყო ბინაში, რათა შეემოწმებინა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ქონება; იგი საცხოვრებელი ბინის კარს მიუახლოვდა თუ არა, ადვოკატმა ი. ბ.-მ მასზე ფიზიკურად იძალადა - ადვოკატმა მას გულმკერდის არეში დიდი ძალის გამოყენებით ხელი კრა, რის გამოც ის უკან გადავარდა და წონასწორობა დაკარგა. თავის მხრივ, ადვოკატ ი. ბ.-ს პოზიციით, ბინის შიგნიდან მან კარი გააღო და ხმამაღლა განაცხადა, რომ ბინის მფლობელის სურვილის შესაბამისად, ბინაში მხოლოდ პოლიციელებს შეუშვებდა. პოლიციელების უკან შეამჩნია უცნობი ახალგაზრდა, რომელსაც საუბარზე და მოქმედებაზე შეატყო, რომ ბინაში უკანონოდ შეჭრა უნდოდა. გამოიკვეთა, რომ ეს ახალგაზრდა იყო ადვოკატი ბ. ჯ.. ი. ბ.-ს განმარტებით, ბ. ჯ. პოლიციის თანამშრომელმა გააფრთხილა, რომ ბინაში მხოლოდ პოლიციელები შევიდოდნენ. მიუხედავად ბ. ჯ.-ის მიმართ გაცემული ამ გაფრთხილებისა, მას შემდეგ, რაც პოლიციელები ბინაში შევიდნენ, სწრაფი მოძრაობით ბ. ჯ.-ც ეცადა ბინაში შესვლას, რის გამოც ი. ბ.-ს განმარტებით, მისკენ გაქცეულ ბ. ჯ.-ს მან დაახვედრა მარცხენა ხელისგული მისი მკერდის დონეზე. ამის გამო ბ. ჯ. მ ვერ შეძლო წინ გადაადგილება, რა დროსაც ი. ბ.-მ კარის დაკეტვა მოახერხა. ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტის ინტერესის დასაცავად, თავად აღკვეთა ბ. ჯ.-ის ბინაში შესვლის მცდელობა.

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა

მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ადვოკატ ბ. ჯ.-ის მიერ მითითებული ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება თავად მას. საჩივრის ავტორს კომისიისათვის არ წარმოუდგენია ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მაგ: მოწმეთა პოზიცია; შემთხვევის ამსახველი აუდიო - ვიდეო მასალა.

შესაბამისად, კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებით და ადგენს, რომ ადვოკატი ბ. ჯ. ცდილობდა ბინაში შესვლას, რაც ფიზიკური ძალის გამოყენებით აღკვეთა ადვოკატმა ი. ბ.-მ - ი. ბ.-მ ხელისგული დაუხვედრა, რომელიც ადვოკატ ბ. ჯ.-ს გულმკერდის არეში მოხვდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტება (ეთიკის კომისიის 2022 წლის 1 და 8 დეკემბრის სხდომის ოქმები)

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ დარღვეულია კოლეგის პატივისცემის ვალდებულება:

6.1.1 „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-7 მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“.

6.1.2 „პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“.

6.2 „ადვოკატი ვალდებულია კლიენტის დაცვის მიზნით გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება და ყველა ღონე იხმაროს, რომ კლიენტის ინტერესები ჯეროვნად იყოს დაცული... თავის მხრივ, ადვოკატებს ეკისრებათ ვალდებულება კლიენტის ინტერესის დაცვის პროცესში იხელმძღვანელონ პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით, იყვნენ წინდახედულები, მომთმენები, მართავდნენ საკუთარ ქმედებას და იქცეოდნენ ისე, რაც შეესატყვისება მათ მაღალ როლს საზოგადოებასა და მართლმსაჯულების სისტემაში“ (ეთიკის კომისიის 2022 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N026/22).

6.3 „კოლეგიალობის პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროცესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივი ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ

ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე N1ბ/სპ-07-16).

6.4 მხარეთა შორის უდავოა, რომ 2022 წლის 1 სექტემბერს ქ. თბილისში, ფ.-ის ქუჩა N-ში არსებულ ბინაში იმყოფებოდა ადვოკატი ი. ბ. თავის კლიენტთან ა. ლ.-სთან ერთად, ხოლო ბინის გარეთ, დერეფანში, იმყოფებოდა ადვოკატი ბ. ჯ., კლიენტის - ნ. კ.-ს ნათესავთან ერთად. ადგილზე გამოძახებულნი იყვნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. ადვოკატ ი. ბ.-სთვის აღქმადი იყო, რომ ბ. ჯ. იყო ადვოკატი. ადვოკატმა ი. ბ.-მ ფიზიკური ძალის გამოყენებით აღკვეთა ადვოკატ ბ. ჯ.-ის მიერ სახლში შესვლა - მან კოლეგას ხელისგული დაუხვედრა, რომელიც ადვოკატ ბ. ჯ.-ს გულმკერდის არეში მოხვდა. შემთხვევის შედეგად, ადვოკატ ბ. ჯ.-ს დასჭირდა სასწრაფო სამედიცინო დახმარებით სარგებლობა.

6.5 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი ი. ბ. ადასტურებს, რომ თავად, ფიზიკურად აღკვეთა ბინაში ადვოკატ ბ. ჯ.-ის შესვლის მცდელობა, მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე იყვნენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები. კოლეგია განმარტავს, რომ შემთხვევის ადგილას იყო დაძაბული მდგომარეობა, ადვოკატ ბ. ჯ.-ს სურდა ბინაში შესვლა, რაც ი. ბ.-ს პოზიციით, მისი კლიენტისათვის არ იქნებოდა სასიკეთო, რის გამოც შესაძლოა ი. ბ. ქმედება იყო მყისიერი, პროვოცირებული კოლეგის მიერ, თუმცა ეს არ ამართლებს ადვოკატ ი. ბ.-ს პოზიციას - ფიზიკური ძალის გამოყენებით შეეჩერებინა კოლეგა, მაშინ, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ასევე სამართალდარღვევის ან დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოს ფუნქციასა და კომპეტენციას. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნებოდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას რომელიმე პირის მიერ, მათ შორის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას ბინაში შესვლასთან დაკავშირებით, სამართალდამცავი ორგანოები განახორციელებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას და აღკვეთავდნენ ნებისმიერ კანონდარღვევას. ადვოკატ ი. ბ.-ს ქცევა კოლეგის მიმართ, არ წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, კლიენტის ინტერესის დასაცავად განხორციელებულ მოქმედებას, რადგან იგი არ ემსახურებოდა კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

6.6 ადვოკატს ი. ბ.-ს ქმედება იყო საჯარო - ფაქტს შეესწრნენ თავად ადვოკატის კლიენტი, პოლიციის თანამშრომლები და ადვოკატ ბ. ჯ.-ის კლიენტის ნათესავი - დედამთილი. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ი. ბ.-ს ქცევა - ფიზიკური ძალის გამოყენებით კოლეგის შეჩერება, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობდა, ადგილზე მობილიზებული სამართალდამცავების გამო, ეწინააღმდეგება კოლეგის პატივისცემის ფუნდამენტურ ვალდებულებას და არის მიუღებელი ადვოკატისათვის. ამგვარი ქმედებით ადვოკატი ზიანს აყენებს პროფესიულ ღირსებას, საფრთხეს უქმნის ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის მოპოვებას და აშკარა უპატივცემულობას იწვევს საზოგადოებაში.

6.7 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ი. ბ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - კოლეგის პატივისცემის ეთიკური ვალდებულების დარღვევა (ეთიკის კოდექსი, მუხლი 7; 10.1), რის გამოც მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6.8 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

6.9 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

6.10 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

6.11 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.12 ეთიკის კომისია ითვალისწინებს ადვოკატ ი. ბ.-ს საქმიან რეპუტაციას; ადვოკატის გამოცდილებას; ფაქტს, რომ ის არ არის დისციპლინირებული და ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

6.13 კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომლის შინაარსი კონფიდენციალურია, შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში თავიდან აცილების მიზნით, რომლის შინაარსი (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

6.14 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N073/22 ადვოკატ ი. ბ.-ს /სიითი №/ მიმართ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/